



მიტროფანე ლალიძე

რუსუდან მარგიშვილი

„1900 წლიდან საქართველოში მე შემოვიღე საუკეთესო ნატურალური წყლების, წველებისა და სიროფების დამზადების ახალი მეთოდები, წესები და რეცეპტურები, რომლის წესით დამზადებული წყლები ხარისხის მხრივ მონონებული და ლირსეულად შეფასებულ იქნა ფართო საზოგადოების მიერ. ამ რეცეპტურით დამზადებული წყლები, როგორც გემოთი, ისე სურნელოვნებით, საამურია და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა იმიტომ, რომ ჩემი მეთოდით დამზადებულ სასმელებში არ იხმარება არავითარი სინთეტიური ესენციები და ქიმიკატები“.

მიტროფანე ლალიძე, 1900 წელი

ამბოზენ, 1952 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ იოსებ სტალინისთვის საჩუქრად 1000 ბოთლი „კოკა-კოლა“ გაუგზავნია. სტალინს მონდომებია ტრუმენისთვის საპასუხოდ კიდევ უფრო შთამბეჭდავი საჩუქრის გაკეთება, კრემლში 83 წლის მიტროფანე ლალიძე დაუბარებია და საექსპორტო ლიმონათის დამზადება უთხოვია, რომელიც ტრუმენისთვის გაუგზავნიათ. მერე თითქოს თეთრი სახლიდან წერილი მოსულა და ამერიკელებს ლალიძის ლიმონათის ექსპორტი უთხოვიათ, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ამბავს გაგრძელება აღარ მოჰყოლია...



იოსებ სტალინი, ჰარი ტრუმენი და უინსტონ ჩერჩილი


იმასაც ამბობენ, რომ 1943 წლის თეირანისა და 1945 წლის იალტის კონფერენციებზე მოწყობილ ვახშმებზე სტუმრებს ლალიძის წყლებით უმასპინძლებოდნენ და უინსტონ ჩერჩილს ეს გამაგრილებელი სასმელი განსაკუთრებით მოსწონებია...

მიტროფანე ლალიძე – ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, საქართველოში უალკოჰოლო სასმელების წარმოების ფუძემდებელი, ცნობილი „ლალიძის წყლების“ დამაარსებელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი და ქუთაისის „საგამომცემლო ამხანაგობის“ დამფუძნებელი. მან პირველმა გამოიყენა წარმოებაში საქართველოს სხვადასხვა რაიონის ხილი ნატურალური, უალკოჰოლო, ორიგინალური სასმელების დასამზადებლად და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში უალკოჰოლო სასმელების წარმოების განვითარებას. შექმნა განსაკუთრებული ბრენდი, რომელიც დღესაც არსებობს, გამოირჩევა ნატურალური შემადგენლობით და შეუძლია კონკურენცია გაუწიოს საქვეყნოდ ცნობილ უალკოჰოლო სასმელებს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ წყალტუბოში, სოფელ ჭოღვეში, ღარიბი აზნაურის ოჯახში 1869 წელს დაბადებული მიტროფანე ლალიძე, 14 წლის ასაკში, მშობლიური სოფლიდან ქუთაისში აღმოჩნდა და პეტრე კოკოჩაშვილისა და ცეზარ ივანოვსკის აფთიაქში დაიწყო მუშაობა.

ცეზარ ივანოვსკი ცნობილი პოლონელი ფარმაცევტი ყოფილა, რომელიც გარდა წამლებისა, ქუთაისში ლიმონათსაც ამზადებდა. სააფთიაქო საქმე მიტროფანეს თურმე დიდად არ იტაცებდა, სამაგიეროდ, ხილეულის წყლების დამზადებით დაინტერესებულა, ეს საქმე ივანოვსკისგან შეუსწავლია და მისი გარდაცვალების შემდეგ, 1887 წლიდან, უალკოჰოლო სასმელების წარმოებას თავად ჩასდგომია სათავეში.

ივანოვსკის მეთოდისა და მის მიერ სხვადასხვა ბუნებრივ ხილსა თუ ნედლეულზე ჩატარებული ექსპერიმენტების ბაზაზე, ლალიძემ განსაკუთრებული არომატისა და გემოს მქონე ქართული ლიმონათის რეცეპტი შეიმუშავა. 1900 წელს ქუთაისში დამოუკიდებლად ააშენა ლიმონათის ქარხანა და დაიწყო ნატურალური ლიმონათის წარმოება, რომელმაც მთელ დასავლეთ საქართველოში გაითქვა სახელი. ამავე პერიოდში ქუთაისშივე დააარსა ხილეულის სასმელების ამხანაგობაც, რომლის მიზანიც, ფინანსურ წარმატებაზე მეტად, ქართული სასმელების წარმოების განვითარება და პოპულარიზაცია იყო, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. მიტროფანე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნედლეულის ხარისხს, სასმელების წარმოების ტექნოლოგიების დაცვას და მათ დასამზადებლად ნატურალური წვენების გამოყენებას. 1900 წელს მან ქუთაისში უალკოჰოლო სასმელების მაღაზიაც გახსნა. ლალიძის წყალი თურმე ქუთაისის ცნობილ ბულვართან ახლოს იყიდებოდა.



„ქალაქის ბალის პირდაპირ, თუმანიშვილის ახალ შენობაში, ბატონმა მიტროფანე ლალიძემ გახსნა მადნეულისა (იგულისხმება მინერალური წყლების) და ხელოვნურად შემზადებული წყლების ქარხანა. ეს ახლად დაარსებული ქარხანა თავისი სიფაქიზით და კარგი სურნელოვანი წყლებით განირჩევა სხვა ქარხნებისგან“.

გაზეთი „კვალი“ (#17), 1900

1902 წელს მიტროფანე ლალიძე გერმანიასა და საფრანგეთში გაემგზავრა, რათა შეესწავლა და თავის წარმოებაში დაენერგა იმდროინდელი საერთაშორისო სტანდარტები და ამით პირველი ქართული ლიმონათის ხარისხი გაეუმჯობესებინა. პარიზში მან შეისწავლა ხილეულის წყლის წარმოების მეთოდი და ტექნოლოგია და შემდეგ თავის წარმოებაში დანერგა.

მიტროფანე იყო პირველი, ვინც ძალიან ფართოდ გამოიყენა ხილეულის წყლების უალკოჰოლო სასმელის დასაყენებლად საქართველოში არსებული ადგილობრივი ხილ-კენკრის ნედლეული. შეიმუშავა ხილის სიროფის დამზადების ორიგინალური მეთოდი, ხილის ესენციების რეცეპტურა და მიღების ტექნოლოგია. ამასთან, ის ზედმინვენით ფრთხილად ეკიდებოდა ხილის ნედლეულის შერჩევას მიკროორაინების მიხედვით. მაგალითად, ჟოლოს სიროფს ამზადებდა მხოლოდ ბორჯომის ხეობაში, უმთავრესად კი, ბაკურიანში გავრცელებული კენკრით, რომელიც ძალიან სურნელოვანი და გემრიელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოტანილი ნედლეული უფრო იაფი ჯდებოდა.

იგი დიდ დროს ატარებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საუკეთესო ნედლეულისა და ხილის ძიებაში. მაგალითად, ცნობილია, რომ ვაშლს მხოლოდ გორში ყიდულობდა, მარწყვსა და ჟოლოს, როგორც აღინიშნა – ბაკურიანში, ციტრუსს – აფხაზეთში, ალუბალს – კასპში, ვარდს კი – ლაგოდეხის ნაკრძალში.



მიტროფანეს თან დეგუსტატორის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონია. როგორც ამბობენ, სულ მცირედი ნიუანსების მიხედვით ინგრედიენტს ისე შეარჩევდა, რომ პროდუქტი განსაკუთრებულ მომხიბლავ და გემურ, სურნელოვან თვისებებს იძენდა და ამრიგად ქმნიდა ისეთ კომპოზიციებს, რომელიც ყველას მოსწონდა. ხშირად ჩნდებოდა ეჭვი, თითქოს მიტროფანე წყლის დაყენების რაღაც განსაკუთრებულ საიდუმლოს ინახავდა, მაგრამ სწორედ მისი ბუნებრივი დეგუსტაციური ნიჭი და საქმის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულება იყო „ლალიძის წყლების“ მთავარი „საიდუმლო“.



ლიმონათის ჩამოსასხმელად მიტროფანე ლალიძეს საქართველოში შუშის ბოთლები და სპეციალური სიფონები შემოუტანია. ბრენდის ეტიკეტი და სასაქონლო ნიშანი გამოჩენილი ქართველი მხატვრისთვის – გიგო ზაზიაშვილისთვის დაუკვეთია. „წყლების“ ეტიკეტზე გამოსახეს ჩიხტიკოპიანი ქალი, რომლის პროტოტიპიც მიტროფანეს დედა – გულჩინა უგრეხელიძე იყო (ლალიძის ლიმონათებს დღემდე ეს ეტიკეტი ამშვენებს). ეტიკეტს საინტერესო წარწერაც ახლდა:

„მოითხოვეთ ყველგან. გემო და სუნი საამური აქვს. გაუფრთხილდით სიყალბეს“.

ლალიძის წყლის გამყიდველები კი ასე უხმობდნენ კლიენტებს, გაგრილების მსურველებს:

ლი! „გინდა იყო ლამაზი? დალიე ლალიძის წყალანდა
 „თუ გინდა იყო ლამაზი ქალი, უნდა დალიო ლალიძის წყალი!“



„უკვე დაიწყო სიცხე, დგება ბული და ალი, რა გვეშველება, თუკი არ ვსვით ლალიძის წყალი“.

იუმორისტული ჟურნალი „ტარტაროზი“

მიტროფანე ლალიძე ფართო მასშტაბის ადამიანი იყო. მისთვის არსებითი არა პირადი მოგება, არამედ ქვეყნის განვითარების ხელშეწყობა და ეკონომიკის გაძლიერება იყო. მის სახელს უკავშირდება ქალაქ ქუთაისში პირველი ელექტროსადგურის აშენება და ქალაქის ელექტროენერჯით განათება: ქუთაისის ბანკის მმართველის, ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძის დახმარებითა და ხელშეწყობით მიტროფანეს საფრანგეთიდან, სათანადო კომპანიისგან, დიდი კრედიტი მიუღია ელექტროსადგურისთვის საჭირო დანადგარების შესაძენად. 1904 წელს აუშენებიათ ელექტროსადგური, რომელმაც პირველად მისცა ელექტროგანათება ქუთაისს. ამ ისტორიული ფაქტით ქუთაისის საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩენილა.

ქუთაისის ელექტროსადგური





მიტროფანე ლალიძის სახელს უკავშირდება საქართველოში ხელოვნური ცინულის წარმოების დაწყება: მას საფრანგეთიდან ჩამოუტანია მაცივარ-დანადგარები ხელოვნური ცინულის საწარმოებლად და ქუთაისის ელექტროსადგურის მახლობლად დაუმონტაჟებია, რომ ახლოს ყოფილიყო ელექტროენერჯის წყაროსთან. ეს იყო დიდი სიმძლავრის ქარხანა, რომლის პროდუქციით, ქუთაისის გარდა, მარაგდებოდა ფოთის ნავსადგურის სამაცივრო მეურნეობაც.

მიტროფანე იმითაც პირველი იყო, რომ თანამშრომლებისთვის 8-საათიანი სამუშაო გრაფიკი დაანესა და მათ საკმაოდ უწყობდა ხელს სამუშაო პირობებით.

მიტროფანე ლალიძე, როგორც აღვნიშნეთ, მუდამ სიახლეს ეძებდა და ცდილობდა ახალ-ახალი წამონყებებით ქვეყნისა და საკუთარი საქმისათვის სარგებელი მოეტანა. მან ჩაუყარა საფუძველი ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ობიექტის – ბარიტის (ბარიუმის სულფატის მინერალის, რომელიც წარმოებაში ფართოდ გამოიყენებოდა) მოპოვებას. ბარიტი ჩამოჰქონდა ქუთაისის ახლომდებარე სოფელ ჟონეთის საბადოდან და წინასწარი დამუშავებისა და გამდიდრების შემდეგ პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში გზავნიდა.

გარდა კომერციული საქმიანობისა, მიტროფანე ლალიძე იყო სხვადასხვა კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილე და ხელშემწყობი. მან ქუთაისში დააარსა საგამომცემლო ამხანაგობა, ქართველ მწერალთა თხზულებებისა და საგანმანათლებლო ნიგ-

ივერია

„ბატონ მიტროფანე ლალიძის ქარხანამ კარგი საქმე გააკეთა, ჯერ იყო და ქუთაისის თეატრი გაანათა ელექტრონით და ახლა კი ქალაქის ქუჩებსაც ანათებს. ეს აგერ ერთი კვირაა, რაც მთავარი ქუჩა სობორისა და ბულვარის გარშემო ელექტრონის ფარნებითაა განათებული“.

გაზეთი „ივერია“, 1904

ნების გამოსაცემად. მისი ხელშემწყობით ჩამოყალიბდა საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი. იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და „დრამატული საზოგადოების“ წევრი, მატერიალურად ეხმარებოდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, იყო ბევრი ეროვნული საქმის ხელშემწყობი და განმახორციელებელი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილიასთან, აკაკისთან, ცისფერყანწელებთან და ქართული კულტურის სხვა სახელოვან წარმომადგენლებთან. მიტროფანე ლალიძემ 1898 წელს გამოსცა ილიას „აჩრდილი“, აკაკის „მომაკვდავის ჩვენება“, ვახტანგ ორბელიანის „იმედი“ და სხვა. 1908 წელს აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავისათვის ქუთაისში დაბეჭდა საიუბილეო კრებული, რომლის ყდას აწერია: „მთელი ამ გამოცემის შემოსავალს, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, ვუძღვნი იუბილარს აკაკის 50 წლის მოღვაწეობის სახსოვრად“. მიტროფანე ლალიძე თავადაც ბეჭდავდა წერილებს „ივერიაში“, „კვალში“, „სახალხო გაზეთში“, „დროებაში“.



როგორც ამბობენ, ლალიძის ხილეულის წვენები ძალიან მოსწონდა დიდ ქველმოქმედსა და მენარმეს, ქართული საქმის დიდ მოამაგეს – დავით სარაჯიშვილს. იგი თურმე ხშირად აძლევდა კომერციულ რჩევებს მიტროვანეს და კატეგორიულად სთხოვდა კიდევ, რომ თბილისშიც გაეხსნა „ლალიძის წყლების“ წარმოება და ამისთვის როგორც ამბობენ, ხელიც გაუმართავს.

მართლაც, 1906 წლის მიწურულს, აკაკი წერეთლის რჩევითა და ილია ჭავჭავაძის დახმარებით, მიტროვანე ლალიძემ თბილისშიც დააარსა უალკოჰოლო სასმელების ქარხანა. ამავე წელს გოლოვინის (ახლანდელი შოთა რუსთაველის) პროსპექტზე გახსნა უალკოჰოლო სასმელების მაღაზია.

ერთი დეტალი: მიტროვანემ თავის მაღაზიას ქართულად, დიდი ასოებით, დააწერა „ლალიძის წყლები“, ხოლო ქვემოთ – რუსულად და პატარა ასოებით. ეს მეფის რუსეთის დროინდელ საქართველოში დანაშაული იყო და რომ არა ილია ჭავჭავაძე, მიტროვანეს დაპატიმრება არ ასცდებოდა. ილია ჭავჭავაძემ თურმე მიტროვანე მანამდეც იხსნა პატიმრობიდან: 1906 წელს მიტროვანე ლალიძე ქუთაისში, პოლიტიკური აქტიურობის გამო, დააპატიმრა გუბერნატორმა ალიხანოვ-ავარსკიმ და მისი ადმინისტრაციული წესით ციმბირში გადასახლება დააპირა. მიტროვანეს მეუღლე, ოლიმპიკადა, თბილისში ჩასულა, პირადად უნახავს ილია ჭავჭავაძე და მისთვის უთხოვია ქმრის გადასახლებიდან დახსნა, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდა, ციმბირში გაგზავნა მაინც რომ აეცილებინა მისთვის. ილია ჭავჭავაძეს მაშინაც როგორღაც მოუხერხებია მიტროვანე ლალიძის განთავისუფლება.



მიტროვანა ლალიძა
მეუღლესთან ერთად

1910 წლისთვის თბილისში თურმე ხილის წყლების 3 ქარხანა ყოფილა: მიტროვანე ლალიძის, ე. ზემელის და ვ. მამულაშვილის. მათ შორის კი საუკეთესო ხარისხის ლიმონათი მიტროვანე ლალიძის ქარხნისა იყო.


ლალიძის სასმელები მოსწონდა ყველას – რუსეთის საიმპერატორო კარზე თუ ირანის დიდებულების სასახლეებში. ამ სასმელებმა სასმელთა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე მრავალჯერ დაიმსახურა ოქროსა და ვერცხლის მედლები.



დავით სარაჯიშვილი (1848-1911)

დიდი ქართველები

ლალიძის წყლების პირველი შენობა თბილისში



ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი



დიმიტრი ერისთავის ნახატი „ლალიძის წყლები“

1921 წელს ლალიძის ქარხანას ცეცხლი გასჩენია და მთლიანად დამწვარა. თვითმხილველები ყვებოდნენ, როგორ ცდილობდა ხალხი აღმოდებული შენობის გადარჩენას და მათ შორის, როგორი შემართებით ებრძოდნენ ცეცხლს ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ვალერიან გუნია. პაოლო თურმე ხშირად იგონებდა, როგორ აუღელვებლად შეგებებია მიტროფანე ამ ამბავს:

„რა კაცია ეს მიტროფანე, როგორი დინჯი და აუღელვებელი! ჩვენ, ყველანი, გამურული ვიყავით კვამლით, ის კი აუფორიაქებელი იყო. თუმცაღა, მის მშვიდ და წყნარ სახეს სევდა და დარდი გადაკრავდა მომხდარი შემთხვევის გამო“.

ამის შემდეგ მიტროფანემ სიროფების დამზადება-ჩამოსხმა საკუთარი სახლის პირველ სართულზე (1916 წელს მიტროფანემ გრიბოდოვის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი იყიდა, სადაც დღესაც ცხოვრობენ მისი შთამომავლები) გააგრძელა. 1922 წელს ბოლშევიკებს მისთვის საცხოვრებელი ფართის გაყოფა მოუთხოვიათ და მის სარდაფში ხალხი შეუსახლებიათ. მიტროფანემ იცოდა, რომ ბოლშევიკებს სარდაფს არ დასჯერდებოდნენ და 1926 წელს მათთვის საკუთრებაში თავადვე გადაუცია საფირმო მალაზია. თუმცა, ბოლშევიკებს ქარხნის მართვა მიტროფანესთვისვე დაუვალბიათ და ამრიგად, „ლალიძის წყლებმა“ ჩვეულ რეჟიმში განაგრძო არსებობა. ეტყობა, მაშინდელმა ხელისუფლებამ მოინონა მიტროფანეს „მორჩილება“ და 1927 წელს მაშინდელი კლარა ცეტიკინის ქუჩაზე (დღევანდელი წინამძღვრიშვილის ქუჩა) მდებარე შენობა გადასცეს ქარხნის გასამართად. „ლალიძის წყლები“ დღესაც ამ ქარხანაში იწარმოება. მაშინ კი მიტროფანეს ქარხანა ტექნიკურად გაუმართავს და მოწინავე ტექნოლოგიებით აღუჭურვავს. სწორედ იქ აითვისეს პირველად, 1934 წელს, ნახშირორჟანგის გაზის წარმოება და მისი ინიციატივით იქვე აშენდა ნახშირმუავა გაზის ქარხანაც, ახალი პროგრესული ტექნოლოგიით. ეს ქარხანა, ფაქტობრივად, ერთადერთი ობიექტი იყო, რომლის ტიპური დანადგარებისა და მოწყობილობის შესასწავლად პრაქტიკას გადიოდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებიც.



დავით სარაჯიშვილის
დაკრძალვის ცერემონია

მიტროფანე ლალიძის წარმოებული სასმელები საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა, მოსწონდათ და უყვარდათ მთელ საბჭოთა კავშირში, მიტროფანეს კი იწვევდნენ სხვადასხვა რესპუბლიკაში და იქ წარმოების დაარსებას სთხოვდნენ.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, როცა დიდი საქმეების მკეთებელ ადამიანებს გვერდში ღირსეული მეორე ნახევარი ჰყავთ. მიტროფა-



ნესაც ედგა გვერდით შრომისმოყვარე და გამჭრიახი მეუღლე – ოლიმპიკა ანდრეას ასული ვახანია, რომელსაც განათლება ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში ჰქონდა მიღებული, კარგად ერკვეოდა ხილეულის წყლების დამზადების ტექნოლოგიაში, ჰქონდა კარგი გემოვნება და ხელმძღვანელობდა მეუღლის სხვადასხვა სამეურნეო საქმეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიტროფანე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ოლიმპიკასა და მიტროფანეს ხუთი შვილი ჰყავდათ: თინა, თორნიკე, ჯუანშერი, ვახტანგი და რამაზი. თორნიკე და ჯუანშერი 1924 წელს სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრნენ და



მიტროფანე ლალიძე
ოჯახთან ერთად



გასაგებ მიზეზთა გამო სამშობლოში უკან აღარ დაბრუნებულან, ემიგრაციაში დარჩნენ. მათ თურმე მიტროფანე „ჩემს პარიზელ შვილებს“ ეძახდა. ვახტანგი, რომელმაც მოსკოვში მიიღო იურიდიული განათლება, 1937 წელს სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს მეგობრებთან ერთად და ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც დაავადებული დაბრუნებულა და მალე გარდაცვლილა. შვილის სიკვდილს გადაჰყოლია დედაც, ქალბატონი ოლიმპიადა. მიტროფანეს წარმოებაში გვერდით ედგა ძმა მიხაკო. 1960 წლიდან კი „ლალიძის წყლებს“ საქმე მიტროფანეს ქალიშვილმა, თინამ, გადაიბარა, რომელიც წარმატებული ექიმი იყო და მხოლოდ საგვარეულო საქმის გასაგრძელებლად მოუწია „ელალატა“ საყვარელი პროფესიისათვის. უმცროსი ვაჟი, რამაზი, ქიმიკოსი იყო, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი. მიტროფანე ლალიძის დანეყბულ საქმეს დღეს მისი შვილიშვილები და მათი შთამომავლები აგრძელებენ...

დიდ ადამიანებზე ფიქრისას ყოველთვის საინტერესოა მათი ხასიათი, პიროვნული ღირსებები და თვისებები, რაც ხშირად თვალშისაცემი არც არის და რასაც მხოლოდ მათი საქციელი თუ ყოფა ავლენს. ალბათ, განსაკუთრებული, ჩუმი მონივნების, მადლიერებისა და პატივისცემის ნიშანი იყო მიტროფანე ლალიძისგან ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელიც მის დიდსულოვნებაზეც მეტყველებს: როცა 1911 წლის 20 ივნისს დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა, დაკრძალვის დღეს სარაჯიშვილის სახლიდან (დღევანდელი მაჩაბლის ქუჩა) დიდუბის ეკლესიამდე, მთელ გაყოლებაზე, მას ცივი „ლალიძის წყლით“ სავსე კასრები დაუდგამს, რომ სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებს ზაფხულის პაპანაქებაში, სრულიად უფასოდ, ყელი გაეგრილებინათ.

ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მიტროფანე ლალიძეს, როგორც სამშობლოს, საქმისა და ადამიანების მოყვარულ დიდ ადამიანს წარმოაჩენს, მაგრამ ყოველივე ამის მიღმა იყო დიდი შრომისმოყვარეობა, ნატვირთი საქმის მიმართ დიდი პასუხისმგებლობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დიდი საქმეების საკეთებლად. პიროვნულად მიტროფანეს, ალბათ, ბევრი საზრუნავ-სადარდებელიც ჰქონდა – ილიასა და აკაკის ეპოქაში მაცხოვრებელი, XIX საუკუნეში დაბადებული ადამიანისთვის, რომელმაც თავისი ცოდნა და საქმე ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ გაძლიერებას მიუძღვნა, რომელიც მეგობრობდა XX საუკუნის ქართული აზრისა და კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებთან და რომელსაც აწუხებდა სამშობ-



მიტროფანე ლალიძე

ლოს ბედი, რომელიც ახალგაზრდობაში პოლიტიკურად აქტიურიც იყო და ცდილობდა წინ წამოეწია საქართველოს ინტერესები, ძალიან რთული იქნებოდა ეცხოვრა საბჭოთა ეპოქაში და იმ ხელისუფლების დავალებები შეესრულებინა. მით უმეტეს, რომ ორი ვაჟი (თორნიკე და ჯუანშერი) პარიზში, ემიგრაციაში, ჰყავდა „დაკარგული“, ერთი შვილი (ვახტანგი) კი, ფაქტობრივად, საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა. ალბათ, რამდენი ფიქრი და დარდი აწუხებდა და როგორი მონატრება ტანჯავდა, თუმცა ამის შესახებ, სავარაუდოდ, მხოლოდ მისმა უახლოესმა ადამიანებმა თუ იცოდნენ. ვფიქრობ, მისთვის, როგორც პროფესიონალისთვის, რომელმაც თვითონ შექმნა და მთელი ცხოვრება მიუძღვნა საკუთარ საქმეს, უმთავრესი იყო სწორედ ამ საქმის სამსახური, ამ საქმის განვითარება; მით უმეტეს, რომ ამ საქმით შორს გაჰქონდა თავისი სამშობლოს – საქართველოს სახელი, რადგან მისი წარმოებული პროდუქცია ხომ მისი – ქართველი მწარმოებლის სახელს ატარებდა და ეტიკეტზეც ჩიხტიკოპიანი ქართველი ქალი ჰყავდა გამოსახული.

მიტროფანე ლალიძე გარდაიცვალა 1960 წლის 2 იანვარს, 91 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

